№ 192 13 გიორგობისთვე, კვირა 1866—1877 13 გიორგობისთვე, კვირა № 192

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანკის ქუჩ.-ზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., პატარა-შრიფტით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ცეცხლითი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

**ყარსი**, 11 გიორგობისთვეს. ყარსის გარნიზონში ითვლებოდა სულ 32 ბატალიონი, 2,400 არტილლერისტი და ერთი ბრიგადა ცხენოსანი ჯარისა. ჩვენის მხრით ყარსის აღებად 39 ბატალიონი იყო მიდგომილი.

ყარსის აღების დროს ჩვენ ავიყვანეთ ტყვეთ 17,000 კაცი; ამათ რიცხვში ურევია 5 ფაშა და 800 აფიცერი. ამას გარდა ყარსის ლაზარეთებში და ყაზარმებში დაგვხვდა 4,500-მდინ დაჭრილი და ავათმყოფი ოსმალოს სალდათები და აფიცრები.

ჩვენის მხრით ზარალია: მ ო გ ვ ი კ ლ ე ს: 1 ღენერალი, 13 შტაბ და ობერ-აფიცერი და 469 სალდათი; დ ა ჭ რ ი ლ ე ბ ი არიან: 43 შტაბ და ობერ-აფიცერი და 1,790 სალდათი.

—

**სტამბოლი**, 10 ნოემბერს. იქ წამსვე, როგორც კი მოვიდა აქ ყარსის აღების ამბავი, შეიკრიბა სამხედრო რჩევა, რომელზედაც დაესწრო თვითონ ხონთქარი.

მაჰმადის მწვანე დროშის გამოტანაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ხონთქარმა სთქვა, რომ ამ უკანასკნელ ღონის-ძიებას ის მხოლოთ მაშინ მიმართავს, როდესაც მტერი არზრუმსა და ადრიანოპოლს აიღებსო.

სირიაში მოგროვილის ჯარის ერთი ნახევარი არზრუმისაკენ იგზავნება და მეორე ნახევარი მეჰმედ-ალი-ფაშის არმიის მისამატებლად სოფიისაკენ.

არზრუმსა და ბრუსსას შუა ოსმალოები ახალ სიმაგრეებსა და ციხეებს აშენებენ.

თითქმის მთელი გარნიზონი ადრიანოპოლისა მეჰმედ-ალი-ფაშის არმიაში ჩაირიცხა, რომელსაც ჰყავს ამ ჟამად 18,000 კაცი 35 ზარბაზნით.

**ბოგოტი**, 10 ნოემბერს. (ოფიციალური). გუშინ საღამოს 8 საათზე, საშინელს სიბნელეში და თოვლისა და ბუქის დროს, ოსმალოები მოადგნენ წმ. ნიკოლაის ციხეს (შიპკოსთან); მაგრამ ჩვენის მხრიდამ გაცხარებული ზარბაზნისა და თოფის სროლის შემდეგ, მტერი იძულებული შეიქნა უკან დაეწია. ღამის 11 საათზე სროლა გათავდა. ჩვენის მხრით 11 მოკლულია და 40 დაჭრილი.

**პარიჟი**, 11 ნოემბერს. ხვალ „ოფიციალურს ჟურნალში" გამოცხადებული იქნება ახალი მინისტრების სია. ამბობენ, რომ ამათში არცერთი სენატორი და დეპუტატი არ ურევიაო. ამბობენ აგრეთვე, რომ მინისტრების რჩევის თავსმჯდომარეთა და უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრად ამ სამინისტროში დე-ბონნევილი იქნებაო და სამხედრო მინისტრად ღენერალი როშბოკე.

**პარიჟი**, 11 ნოემბერს. ახალი სამინისტრო შესდგა; იმის წევრებად არიან: სამინისტროს თავსმჯდომარე და სამხედრო მინისტერი—ღენ. როშბოკე, შინაგანი საქმეებისა—ველშ, გარეშე საქმეების—დე-ბანნივილ, იუსტიციის—ლეპელტიე, ფინანსის—დიუტილლელ, ზღვის—როსსენ და სახალხო განათლებისა—ფე.

## ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

არზრუმიდამ არაფერი ამბავი არ მოგვდის. მხოლოდ უცხო ქვეყნის გაზეთებიდამ ვტყობულობთ ჩვენ, რომ ღენ. გეიმანი და ტერ-ღუკასოვი ამ თვის დამდეგს ისევ დევე-ბოინში იდგნენ და აქ ამაგრებდნენ თავიანთ პოზიციებს. ამავე უცხო ქვეყნის გაზეთების სიტყვით, რუსის ჯარის რიცხვი არზრუმთან სულ 30,000 კაცია და ამათ ასამდინ ზარბაზანი აქვთო.

ერთხელ სცადა, როგორც ვიცით, რუსის ჯარმა არზრუმთან მიახლოებამ და აღება იმ სიმაგრისა (აზიზიესი), რომელიც ამ ქალაქს დაჩერებია; მაგრამ, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, ჩვენები იძულებულები შექნილან, რომ საჩქაროთ ისევ დევე-ბოინისკენ უკანვე დაბრუნებულიყვნენ.

ასე უსაქმოთ ჩვენი ჯარის არზრუმთან გაჩერების მიზეზი, უეჭველია, ის უნდა იყოს, რომ მუხთარ-ფაშას ალბათ მოუვიდა ახალი ჯარები, რომელსაც მოელოდა, დაჩვენები ისე ძლიერად ვერ პოებენ თავის თავს, რომ არზრუმს მიადგნენ, სანამ ამათაც ახალი ჯარი არ მიეშველებათ.

ახლა, ყარსის აღების შემდეგ, რაღა თქმა უნდა ღენ. გეიმანს მიუვა ყარსიდამ ეს ახალი ჯარიც და მხოლოდ მაშინ შეუდგებიან ჩვენები არზრუმის აღებას.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ, როგორც ამბობენ, ყარსიდამ არზრუმამდინ, განსაკუთრებით სოღანლუღის მთაზე, ისეთი თოვლი მოსულა, ისეთი სიცივეები დამდგარა და ისე გაფუჭებულა გზები, რომ ციხის ასაღები დიდი ზარბაზნების გადატანა ამ გზით ახლა ძალიან გაჭირდებაო.

—

ვენის გაზეთს „Fremdenblatt"-ში მცირე აზიის ბრძოლის ველიდამ შემდეგი დეპეშა არის დაბეჭდილი, რომელიც ამ გაზეთს 4 ნოემბერს მიუღია:

„დევე-ბოინთან დაბანაკებულ რუსის ატრიადს ახალი ჯარები მოუვიდა და ამის შემდეგ ამ ატრიადმა არზრუმისაკენ გაიწია.

„რუსებმა გადაუჭრეს ოსმალოებს გზა არზრუმსა და ბათუმს შუა."

—

იგივე გაზეთი გვაცნობებს, რომ მუხთარ-ფაშამ დასტოვა არზრუმში ერთი ნაწილი თავის ჯარისა და დანარჩენის ჯარით დიარბეკ-რში წავიდაო იმ განზრახვით, რომ იქ ახალი ჯარები შეადგინოს, მოაგროვოს და ომისათვის მოამზადოსო.

—

ინგლისურის გაზეთის „Daily News"-ის არზრუმელი კორრესპონდენტი იწერება ამ ქალაქიდამ 4 ნოემბერს:

„რუსის ჯარებმა ისეთი ადგილები დაიჭირეს არზრუმთან, საიდამაც იმათ შეუძლიანთ მიადგნენ ამ ქალაქს და ყუმბარებიც დაუშინონ.

„ამას გარდა ამბობენ, რომ რუსებმა შეუკრეს არზრუმს წყალი, რომელიც არხებით მიდიოდა მახლობელ მთიდამ ამ ქალაქში და ურომლითაც მცხოვრებლებსა და ჯარს იქ გაძლება არ შეძლიანთ.“

ეს ამბები რომ მართალი ყოფილიყო, უეჭველია, ჩვენ ამას ოფიციალურად გვაცნობებდნენ...

—

ინგლისური გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი ასე აგვიწერს არზრუმის მდგომარეობას დევე-ბოინთან მუხთარ-ფაშის ჯარის დამარცხების შემდეგ:

„იმ ღამეს, როცა დევე-ბოინიდამ დამარცხებულები დაბრუნდნენ, არც მუხთარ-ფაშას, არც იზმაილს, არც არზრუმის ღუბერნატორს და არც ამ ქალაქის ზოგიერთს წარჩინებულ პირთ არ სძინებიათ. სამხედრო რჩევა ჰქონდათ. არზრუმის ღუბერნატორი და მდიდარი მცხოვრებლები ამ ქალაქისა თხოულობდნენ, რომ უბრძოლველად დაუთმოთ მტერს არზრუმი, თორემ ყუმბარებით ააოხრებენ და დასწვენო. მუხთარი და იზმაილი კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და არიან კიდეც.

„თვითონ ქალაქი ამ ჟამად საშინელს მდგომარეობაშია: დაფთხობილი ხალხი ალაგებს ბარგს და ყოველის მხრით მიდიან დასახიზნავად ურმებითა და აქლემებით ბაიბურთისაკენა...“

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

ბუხარესტელი კორრესპონდენტი გაზეთის „Голосъ“-ისა შემდეგ ამბავს იწერება იმ პარლამენტიორის გაგზავნის თაობაზე, რომლის პირითაც ოსმან-ფაშისათვის შეუთვლიათ ჩვენს სამხედრო მთავრობას, რომ პლევნო დაეთმო ჩვენთვის:

„1 ნოემბერს ჩვენი ბანაკიდამ წავიდა პლევნოში პარლამენტიორი, რომელსაც უნდა ეკითხა ოსმან-ფაშისათვის: საქიროთ სთვლის ის, რომ დაჰყაროს თოფ-იარაღი ახლა, როდესაც იმან საკმაოდ გამოიჩინა მხნეობა და გმირულად დაიცვა თავი, თუ არაო?

„ამ წინადადებაზე ოსმან-ფაშამ პასუხად შემოთვალა, რომ იმას არ გამოლევია ჯერ კიდევ ყოველი ღონის-ძიება თავის თავის დაცვისა და არ შეუსრულებია ყოველივე ის, რასაც სამხედრო სახელი და პატივი მოითხოვს იმისაგან, და ამიტომ პლევნოს დათმობისა და თოფ-იარაღის დაყრას მე ჯერ არ ვაპირებო.“

—

ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps“ დაბეჭდილია შემდეგი მოსაზრება პლევნოს არმიის თაობაზე:

„პლევნოში დამწყვდეულ ოსმან-ფაშის არმიას ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ დამწყვდეულ არმიას პლევნოსთან დაჭერილი ჰყავს 130,000 კაცი რუსის და რუმინების ჯარისა, რომელიც, თუ არ პლევნო, უეჭველია, ახლა ბალკანს იქით გადასული და იქნება ადრიანოპოლში მისულიც იქნებოდნენ...

„რასაკვირველია, რუსებისთვის უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ჯარი ოსმან-ფაშისა პლევნოში არ ყოფილიყო დამწყვდეული, რომ ის თავისუფალი იყოს და ისევ იჭერდეს რუსის არმიას ბალკანის აქეთ მხარეს. მაშინ ოსმან-ფაშა იძულებული იქნებოდა (როგორც ახლა იქნება), რომ ან თოფ-იარაღი დაეყარა და ან დიდის ზიანით გაეპო გარშემორტყმული მტერი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ოსმან-ფაშამ იცის თავის ჯარების ღირსება და ხასიათი: ეს ჯარი ბრძოლის ველზე იმდენხანს ვერ გაუძლებდა, ისე ვერ შეაკავებდა მტერს, როგორც ახლა უძლებს, როცა გამაგრებულს პლევნოშია გაჩერებული.

„სხვა არა იყოს-რა, მარტო ეს გარემოება, რომ ოსმან-ფაშამ გაიგო ამ შემთხვევაში თავის და მტრის არმიის ღირსება და ამის-და-გვარად მოიქცა, ამის მიხედვით დაიჭირა საქმე, უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ეს სარდალი მართლაც ნიჭიერი სარდალია.“

—

გაზეთი „Presse“ გვაცნობებს, რომ დობრუჯაში დაბანაკებულმა რუსის (ღენ. ციმერმანის) ატრიადმა სილისტრიისაკენ გამოიწია და ქუზგუნში დაბანაკდაო. ამ გარემოებიდამ ხსენებულ გაზეთს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ეს ატრიადი უეჭველად ამ ზამთარს სილისტრიას შემოერტყმება გარს და ამ შესანიშნავი ციხე-ქალაქის შიმშილით აღებას მოინდომებსო.

—

# ფელეტონი

## სიღნაღური სცენები

სიღნაღის მოედანზედ ერთი ყმაწვილი კაცი შეხვდება მეორეს.

— დრასტი, მუსიო!
— გაგიმარჯოს!
— როგორ მშვიდობით?
— ვარ რაღა?.. (სიჩუმე).
— სხვა? ახალი ამბავი რა იცი?
— არაფერი, ღმერთმანი!
— მართლა, „დროება“ არ მიგიღია?
— მივიღე!
— რა სწერია, გეთაყვა, კარგი ამბები?
— რა სწერია და ლანძღვა, გინება, კრიტიკა და პოლემიკა! სხვა რა უნდა ეწეროს? განა არ იცი „დროების“ ხასიათი? თუ არავინ გალანძღა და ცხვირში არავის ამოჰკრა, ხომ არ შეიძლება! კორრესპონდენციებს წაიკითხავ,—ლანძღვა, ფელეტონს გადაათვალიერებ,—ლანძღვა, ნარევს ნახავ—დაცინვა, საბაასოში ჩაიხედავ—კრიტიკა. ერთი სიტყვით, რომელი ნომერიც უნდა აიღო ხელში, უთუოდ ვისმეს უნდა ჰკბენდეს!.. მაინც ძალიან ფინთი ხასიათი დაიჭირა ეხლა და ეხლა ამ „დროებამ!“ მრუდ-მართალს დაუჭერია კალამი და ლანძღავს ქვეყანას! ცოლმა რო ქმარს წიგნი მისწეროს, იმაზედაც კი კრიტიკას შეუდგენენ. ეხლა კიდე ერთი ვიღაც „—მე—“ გამოჩნდა, მოჰყოლია და ზამრეკელოვი ვარო, ნაცვალოვი ვარო, წერეთელი ვარო, ზაბრიელიანცი ვარო,—სუ ერთიანად გაულანძღავს. რო ჰკითხო, რათ ილანძღები, რა შენი საქმეაო, მოგიგებს, როგორც ერთმა მასხარობა დაიწყო იმ დღეს: აბა ვინ გავლანძღეო, ცუდი რა ვქენიო? რჯული არ მიგმიაო, დედ-მამის სული არ მიხსენებიაო, ბრია-ბრუთ არვინ გამიხდიაო, ოხრათ და სულელად არვინ გამომიყვანიაო, „ანასუნი“ არ მითქვამს და აბა რა გალანძღვააო!

— დიდება შენ, ღმერთო! როგორ სხვა-და-სხვა ნაირი ხასიათები გვაქვს ადამიანებსა! მე რომ მკითხო, „დროება“ მარტო იმისთვის მიყვარს, რომ ის ამ გვარი ხასიათის პატრონია. შენ კი, დახე, როგორ ბრაზები მოგდის!... განა არ იცი, რომ ეხლანდელ დროში თუ არავის წავკარ-წამოვკარით ცხელ-ცხელი ქისტები, თუ არ გავწიხლეთ, ამაყათ არ დაუხვდით, არ გავგლიჯ-გამოვგლიჯეთ,—ისე ვერ ვიცხოვრებთ? დროება რომ ეგეთი დაგვიდგა, განა ეს „დროებამ“ კი არ იცის? მიიხედ-მოიხედე შენს გარშემო,—ყველას თვალები დაუჭყეტია და ამას ცდილობს, რომ თავი გამოიჩინოს, ყოყოჩობა დაიწყოს, რომ ქვეყანამ თავი დაუკრას.... ძაღლმა თუ კუდი ამოიძუა და მოკუნტული აქეთ-იქით გაძვრა-გამოძვრა, მთელი ქუჩის ძაღლები იმას დაედევნებიან და კბილებში ბურთივით ათამაშებენ, მაგრამ თუ იმან....

— შენ სულ სხვას ამბობ! გაზეთის საქმე სხვაა! ის არის ჭკუის მასწავლებელი, დამრიგებელი, წმინდა სარკე, რომელმანაც უნდა დაგანახვოს ყოველივე შენი ნაკლულევანება. ის არის მაგალითი, რომელსაც შენ უნდა მიბაძო. ამისათვის ის უნდა იქცეოდეს დინჯათ, ბრძნულად და ჭკუა-დამჯდარად, რომ იმის ყოფა-ქცევას სხვებმაც მიბაძონ. თორე რასა ჰგავს, მუდამ გინება და დაცინვა? რო რაიმე გინდოდეს გაკეთება, შიშით ვერ გაგიბედნია,—მოგდგებიან და ჩირქში ჩურჩხელასავით ამოგავლებენ!

— სუუ! ყური მიგდე! რა სთქვი? დინჯად და ბრძნულად უნდა იქცეოდესო? კარგი დაგემართოს, მაგრამ ყოველთვის რო ბრძნულად და დინჯათ იმოქმედო, ხათრიანათ და თავაზიანათ მოიქცე, ტკბილათ და დედა-შვილობით მოეპყრა, იცი რა მოგივა? პირველი ბაბაყული გამოხვალ და ბაბაყულებს ის ემართებათ, რომ ქვეყნის ფეხის მჩვრათ ხდებიან. შენ რო ამბობ, იმნაირი გაზეთიც არის ჩვენში; მაგრამ ხო ხედავ, ძალათი აჩრიან ხელში, მაინც არ ეკარებიან. შეიხედე, საცა კი მოსდისთ: ნომრები ხელ-უხლებლათ აწყვია ფანჯარაებზედ. რათა? მათა, რომ არავის გული არ მიდის იმის წაკითხვა-

ლონდონის გაზეთს „Times“-ში იწერებიან ბუხარესტიდამ 30 ღვინობისთვეს:

„ბუშინდელი დღიდამ დაწყებული სულეიმან-ფაშის არმიის ყველა ბანაკებში რაღაც უჩვეულებრივო მოძრაობა არის და ამ არმიის ყველა ატრიადები წინ იწევენ, თითქო რუსებთან შებმა სწადიანთო.

„მაგრამ, ამბობენ, ამ მოძრაობის მიზანი სრულებით ის როდი არისო, რომ სულეიმან-ფაშას ჰსურდეს, მართლა ბრძოლა აუტეხოს რუსებს; ამის მიზანი ის არისო, რომ პლევნოდამ გამოიტყუვილოს, მოაცილოს რუსის ჯარები და ამ ნაირად ამ ქალაქში დამწყვდეულ ოსმან-ფაშას შემთხვევა და ღონის-ძიება მისცესო, რომ თავის ჯარებით გამოვიდეს იქიდამო.“

—

„ქელნის გაზეთის“ შემდეგ ამბავს გვატყობინებს ბალკანის მთებზე რუსების გადასვლის განზრახვის შესახებ:

„ნამდვილის წყაროდამ ვიცით ჩვენ, რომ რუსებს აქვთ განზრახვა, რომ ხელმეორეთ გადავიდნენ ბალკანის მთებზე. ჩვენ არ ვიცით—რომელ ჯარებს გაგზავნიან იქითკენ; მაგრამ ამას კი ნამდვილად გვატყობინებენ, რომ ამ მიზნით რუსები 40,000 კაცს აგროვებენ ტრნოვოში და იმის ახლო-მახლო ადგილებში. ამ ჯარს უნდა შეუერთდეს ის 20,000 კაცი, რომელნიც შიპკოს გასავალში არიან გამაგრებულნი და რომელთ სარდლად ღენ. რადეცკია.

„ამ ნაირად, რუსებს იმედი აქვთ, რომ 60,000 კაცით მიადგნენ და ამ ზამთრამდინ ადრიანოპოლი აიღონ.“

—

„ჟენევის ჟურნალში“ იწერებიან, რომ რუსის არმიიდამ რამდენიმე პოლშელი სალდათები და აფიცერიც გადავიდნენ ოსმალეთისაკენაო და ყველა ესენი ოსმალოს სარდლებმა იმ ცალკე ატრიადში ჩარიცხეს, რომელიც პოლშელებისაგან არის შემდგარიო.

# საქართველო

## ტფილისი

*** გასულ ორშაბათის სხდომაზე ჩვენმა ქალაქის რჩევამ ერთ-ხმად გადაწყვიტა და გაგზავნა მ. ი. უ. კავკასიის ნამესტნიკის სახელობაზე, ყარსის აღების გამო, მისალოცავი ტელეგრამმა. ამ ტელეგრამმის პასუხად ქალაქის თავს უფ. დ. ი. ყიფიანს მოუვიდა პასუხად დეპეშა, რომელშიაც დიდი თავადი მადლობას უძღვნის ქალაქს ამ მილოცვისათვის.

*** ხვალ, ორშაბათს, ჩვენი ქალაქის რჩევას, სხვათა შორის, შემდეგ საგნებზე ექმნება სჯა:

ა). მოხსენება ხმოვანის ამიროვისა იმის თაობაზე—თუ როგორ უნდა დაუხვდეს ქალაქი მ. ი. უ. კავკასიის ნამესტნიკს;

ბ). 1878 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავალზე;

გ). კიდევ მოხსენება ხმოვანის პლოადათოვისა ქალაქის სიძვირეზე, იმის (სიძვირის) მოსპობაზედ და იმ საწყაოებისა და საწონების გაშინჯვაზედ, რომელსაც ჩვენი ვაჭრები ხმარობენ;

დ). განცხადება ხმოვანის დოქტორის მართანოვისა იმაზედ, რომ ქალაქში სანიტარული კომისია დაინიშნოს და სხვ.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქალაქის სომხობის კარგი, ძველი ნაცნობი აქტიორი უფ. ამერი კიანცი ამ თვის 15-ს კონცერტის გამართვას აპირებს კავკასიის მუზიკალური საზოგადოების ზალაშიო.

*** ამ დღეებში ვნახეთ ჩვენ ბრიტანიის ბიბლიური საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (კუკიის ხიდზე) ბრმებისათვის შედგენილი ანბანი სომხურს და ნემეცურს ენაზე. ამ გვარი ანბანი ყველა ევროპიულ ენებზედ არის შედგენილი. ამოწეული ასოებია ქაღალდზე გამოყვანილი ასე, რომ ბრმები ხელის თითების შეხებით ჰკითხულობენ ხოლმე. ფასი ზემოხსენებული ანბანისა შვიდი მაუ-რია.

*** თიონეთიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად აქეთკენ თოვლი ჩამოწვაო.

*** გასულ ხუთშაბათს აქედამ 1,000-მდინ ოსმალოს ტყვე წაიყვანეს მცხეთი-

---

ზედ. რატომ არ მიდისთ? მიტომ, რომ როგორღაც იბერება, თითქო დარიგებას იძლევა, სიბრძნეს იჩემებს, თითქო ჭკუის მასწავლებლად და გზის მაჩვენებლად გამოდის; მაგრამ ხალხი კი აინუმშიაც არ იგდებს იმის მოქმედებას!

— რაც უნდა იყვეს, ლანძღვა კი პატიოსნება არ არის-დაა!

— პატიოსნება კარგია, სიმართლე უკეთესი, მაგრამ „მეტის მეტმა სიმართლემო, თვალთ დამაკლო სინათლეო“, იტყვიან. აი შენმა პატიოსნებამ და სიმართლემ რა დამართა ერთ ბერს. არაკს გეუბნები:

— ერთი კაცი მივიდა შემძლე ბერთან, შესჩივლა თავის გაჭირვება და შესთხოვა რამდონიმე ფული მასესხე, თავის დროზე სარგებლით მოგართმევო. ბერმა აიღო და მისცა, რაერთიც ეჭირვებოდა. მეორეთაც მოვიდა ეს კაცი და კიდევ სთხოვა ფული, შეჰპირდა, ორივეს ერთად მოგცემო. ბერმა უჩვენა სტოლი და „აი შვილო, გამოსწი უჯრას და ამოიღე, რამდენიც გეჭირვებაო!“ ამ კაცმა დაავლო ფულებს ხელი და გაარბევინა. მესამეთაც მივიდა და კიდე ამნაირადვე აიღო ნება ფულების წაღებისა. არც თამასუქი, არც ღერბის ქაღალი, არც ორმოცი ბეჭდები, არც ნოტარიუსი და არც მოწმეები. მეოთხედ და მეხუთეთაც რო მოვიდა, ბერმა უთხრა: „ნახე, შვილო, უჯრაში და თუ იქნება, წაიღეო.“ გამოსწია უჯრას და ცარიელი კი დაუხვდა.

— რა ვქნა, შვილო, რაც იყო, სულ შენ წაიღე და აბა რაღა გასესხო? რაც წაიღე, რო ისევ მოგეტანა, მზათ მექნებოდა, შენახული, და ეხლა რაც არ დაგითესნია, რას მომკიო! ადგა და წავიდა ის კაცი. ჩვენი ბერი დარჩა ხელცარიელი.. ამას ძველ ამბავს მოგახსენებ, პაპის-პაპის დროინდელ საქმეს, თორე ეხლა ხო მსგავსი შეუძლებელია. ის რო ეხლანდელი ბერი ჰყოფილიყო, ასე ადვილათ კი არ მოეშვებოდა, — სუდში უჩივლებდა, პალატაში გადავიდოდა, ადვოკატებს დაიქირავებდა და თუნდაც ცხრა იმდენი ზედ წაედო, იმის ჯავრს კი არ შესჭამდა. ეხლა ბერი, ერი და მღვდელი რასაც და ვისაც კი ჩაავლებენ კლანჭებს და კბილებს, გაუგლეჯელს და გაუტყავებელს არ გაუშვებენ. რისთვის? მისთვის, რომ ეხლა ისეთი ხალხია, ისეთი დროა, ისეთი ადათია. „ადათი და წესიაო, ფეტვი ალაგს სთესიაო“. „როგორიც ერი, ისეთივე ბერიო“. როგორიც დრო და ხალხია, „დროებაც“ იმის-და-გვარად იქცევა.... რას ამბობ შენ! ეხლა რა დროა, იცი? მამა რო კვდებოდეს, შვილებს პირველად ამ ნაირ ანდერძს და დარიგებას უტოვებს:

შვილო, ეცადეთ,
ყველა გზა სცადეთ,
რაც რო გითხრათ, ჰქმენ:
მგელს, დათვს მიბაძეთ,
ცხვრულათ გაპარსეთ
ყველა, გირჩევ თქვენ!

×

ხათრი, ან ცოდო
არსად გაბედო;
შეუბრალებლად
დიდს, მცირეს ჰგლეჯდე,
ლუკმასართმევდე
შეუცოდებლად!

×

ვინც გაგაჯავრებს,
ცუდ რასმეს გკადრებს,
ყბებში წაჰკრამდე;
ერთს-ორს ორმოცად.
ოთხს-ხუთს ოთხმოცად,
შენ მას აჰკრამდე!

×

ბასრი ეშვებით,
რასაცა შვრებით,
ვერას გიზამენ;
ბოროტის ენით,
რაც გინდა ჰქენით,
თავს დაგიკრავენ!

×

ხოლო კარგ ქცევით,
ხათრის გაწევით
დაგიჯაბნებენ;
ტკბილი სიტყვებით,
და მოხათრებით
გაგატყავებენ!

სიღნაღი, 8 ნოემბერს — მ —

საკენ (რუსეთში). მომეტებული ნაწილი ამათგან ავათმყოფები იყვნენ და ბევრს თბილი ტანისამოსიც არა ჰქონიათ.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

ნაციონალური კრების სხდომაზე, 2 ნოემბერს, როდესაც იმ უწესოებაზე და უკანონობაზე ჩამოვარდნილა ლაპარაკი, რომელიც სამინისტროს მოუხდენია ამას წინათ კენჭის-ყრის დროს, მინისტრს ფურტუს, სხვათა შორის, უთქვამს:

„ამ პალატის რესპუბლიკური წევრები წინააღმდეგნი არიან ოფიციალურის კანდიდატურისა; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველაგვარ მმართებლობას ჰყოლია ჩვენში თავის კანდიდატები, რომელთაც ამორჩევასაც ის ცდილობდა და ურჩევდა ხალხს.

„დარწმუნებული იყავით, რესპუბლიკელებს რომ ჩაუვარდეთ ხელში მთავრობა, ისინი უფრო უარესად ისარგებლებენ თავიანთი უფლებითა, ვინემ ვსარგებლობთ ახლა ჩვენ...

„საფრანგეთს ჰსურს მშვიდობიანობა, წესიერება და მკვიდრი მმართებლობა, სთქვა ბოლოს ფურტუმ. ამისთანა მმართებლობა არის ახლა, სანამ ამ მმართებლობის მოთავედ მარშალი მაკ-მაჰონი ითვლება. საფრანგეთს ჰსურს, რომ მარშალი დარჩეს თავის ალაგზე (?) და ის დარჩება, რაც უნდა სთქვან და რამდენიც უნდა ეცადონ რესპუბლიკელებმა იმის გადაყენება.“

ამ სიტყვის პასუხი წარმოსთქვა რესპუბლიკელმა დეპუტატმა ფერრემ, რომელმანც, სხვათა შორის, თავის სიტყვაში გამოთქვა, რომ

„რესპუბლიკელებს აქვთ უფლება სთქვან, რომ რესპუბლიკას შიში აქვსო; უეჭველია, რომ გერმანია და იტალია ძალიან განზე შეხედავენ საფრანგეთს, თუ საფრანგეთში კლერიკალური მმართებლობა დამკვიდრდა.

შემდეგ ფერრემ ჩამოთვალა ის უკანონობა, რომელიც ჩაიდინა სამინისტრომ და იმის მომხრე სამღვდელოებამ გასული კენჭის-ყრის დროს, და ასე გაათავა თავის სიტყვა:

„საფრანგეთი ვერ მოითმენს, რომ იმისაგან ამორჩეული ნაციონალური კრება ხელ-მეორედ დათხოვნილი იქნეს!“

## ოსმალეთი

იმ პროკლამაციაში, რომელიც სტამბოლის სახლის კედლებზე აეკრათ, მოხსენებული იყო თურმე, რომ ახლანდელი ჩვენი მმართებლობა ცდილობსო, რომ რუსეთთან ჩვენი ქვეყნისა და თავმოყვარეობის დამამცირებელი მორიგების პირობები შეჰკრასო და სამართლის ხალხი ამისთანა გაუპატიურებას ვერ მოითმენსო.

„თუ ჩვენ ღირსეული და საპატიო პირობებით ვერ მოურიგდებით ჩვენს მტერსო, ეწერა ამ პროკლამაციაში, თუ ყოვლად-შემძლებელმა ღმერთმა აიღო ჩვენგან ხელი, მაშ ერთი-ღა საშუალება და ნუგეში დაგვრჩენია: ჯერ მოვკლათ ჩვენი ქვეყნის დამღუპველი დამატფაშა და მერე ჩვენი თავიც შევაკლათ მტერს!“

# ნარევი

ერთს ბერლინელ ნემეცს ისეთი მაშინა მოუგონია, რომლის შემწეობითაც ორ კაცს, სამი ვერსის სივრცეზედ მოშორებულებს, ისე ადვილად შეუძლიანთ თურმე ერთმანეთთან მასლაათი, თითქო ერთს ოთახში სხედანო. ამ მაშინას „ტელეფონი“ ჰქვიან სახელად და შემდეგში ის ხმარებაშიაც შემოულიათ.

***

სულ სხვა გვარი იარაღი მოუგონია ერთს ფრანცუზს პარიჟში: ეს იარაღი არის იგივე ტერმომეტრი, რომელსაც ჩვენ სითბოსა და სიცივის შესატყობლად ვხმარობთ; მხოლოთ გრადუსის ციფრების მაგიერად შუშაზე აწერია თურმე სხვას და-სხვა სიტყვები, რომელშიაც იხატება ადამიანი-გრძნობა, სიყვარული, ჭკუა, ხასიათი და სხვ.

შუში ბოლოში რაღაც მოწითანო წყალი ასხია, რომელიც ხელს მოჰკიდებ თუ არა, სითბოსაგან დაიწყებს ვიწრო შუშაში აწევას, და რომელ სიტყვასთანაც ის წითელი წყალი გაჩერდება ის სიტყვაც თქვენს ხასიათს, ჭკუას, სიყვარულს და სხვ. გამოხატავს.

ეს პატარა მაშინა სათამაშოთ შემოულიათ პარიჟში და ძალიან სასაცილო რამ არისო.

***

ამერიკის გაზეთები გვარწმუნებენ, რომ ერთმა იქაურ ვაჭარმა ნიუ-იორკის მახლობლად, ერთს მიყრუებულ ალაგზე, ნახა გაქვავებული კაციო. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ამ კაცის აგებულება და გამოაცხადესო, რომ ეს უნდა ყოფილიყო ინდოელი და რამდენიმე საუკუნეს გაუვლია მას აქეთ, რაც ის მომკვდარა და ქვათ ქცეულაო.


# განცხადებანი

ჩაის მაღაზია

**პ. ვ. პოპოვისა,**

რომელიც იმყოფებოდა გალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია **ერევნის მაედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში.** პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

ტფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
**რაჟდენ ბედინიძე**


| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 7[illegible] | [illegible] | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 9 გიორ. | | |
| ერთი ქაღალდის მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 245 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | [illegible] |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 14[illegible] | [illegible] |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | [illegible]7 | [illegible] |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | — | |
| ხერსონის ბანკის 5 ( ) | 85 | 25 |
| მოსკოვის ( ). . . | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკაზის და მერკური | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი. 12 გიორგობ | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ. | 1 | 90 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 45 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 8 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 50 |
| მატყლი თუშური ფუთ. | 7 | — |
| — თარაქამისა ფუთ. . | 3 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 54 |
| ხორცი ძროხისა. ლიტ. | — | 54 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 63 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 12 |
| შაქარი, გოდ. ფუთი . | 8 | 20 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 7 | 20 |
| ყავა გრგვალი, ფუთი | 26 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ | 12 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. | 8 | 38 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Ноября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.